სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/30

ქ. თბილისი 24 ივლისი 2026

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტზე სახელობითი სტიპენდიების დაწესების და გაცემის წესის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის, 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, აკადემიური საბჭოს 2026 წლის 29 ივნისის №01-05-04/75 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2026 წლის 24 ივლისის №01-06-02/07 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტზე ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის გამოჩენილი მეცნიერის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის, პროფესორ ალექსი გორგიძის სახელობითი სტიპენდიის დაწესების და გაცემის წესი;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**